

„კავკასიური დრიადის (*Dryas caucasica*) ფიტოცენოზების ფლორისტულ-
ეკოლოგიური ანალიზი ყაზბეგის რეგიონში (ცენტრალური კავკასიონი)“

დარინა მალაციძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე,
მეცნიერების მაგისტრი ეკოლოგიაში კვალიფიკაციის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა: ეკოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ოთარ აბდალაძე, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დარინა მალაციძე

30.06.2023

აბრევიატურები, სიმბოლოები, შემოკლებები:

რ - რაიონი

ცხრ. - ცხრილი

სურ. სურათი

იხ. - იხილეთ

მაგ. - მაგალითად

ზღ. დ. - ზღვის დონე

წ - წელი

წ.წ - წლები

°C- გრადუსი ცელსიუსი

მ - მეტრი

მმ - მილიმეტრი

მ²- კვადრატული მეტრი

pH- ხსნარის მჟავიანობა/ტუტიაანობის საზომი ერთეული

LA - ფოთლის ფართი

P - ფოთლის პერიმეტრი

LL - ფოთლის სიგრძე

LW - ფოთლის სიგანე

LT- ფოთლის სისქე

SLA- ფოთლის სპეციფიკური ფართი

აბსტრაქტი

2022 წ. სავეგეტაციო სეზონის განმავლობაში ყაზბეგის რ-ის (ცენტრალური კავკასიონი) სუბალპურ სარტყელში, სამ სხვადასხვა საიტზე (თრუსოს ხეობა, სოფ. კობის მიდამოები და ელიას მთის მიმდებარე ტერიტორია ყუროს ქედის ფერდობზე) შესწავლილია იშვიათი, რელიქტური, მარადმწვანე, გართხმული, ფესურიან-მთავარღერძიანი ფესვთა სისტემის მქონე, ნახევრადროზეტული ქონდარა (ჯუჯა) ბუჩქის კავკასიური დრიადის (*Dryas caucasica*) დომინირებით შექმნილი თანასაზოგადოებების ფლორისტული მრავალფეროვნება, სახეობრივი სიმდიდრე, ფოთლის მორფომეტრია, ქლოროფილის შემცველობა, ნიადაგის pH და მათი თანამედროვე მდგომარეობის შეფასების მიზნით ჩატარებულია ფლორისტულ-ეკოლოგიური ანალიზი.

შესწავლილი თანასაზოგადოებები ხასიათდებიან ტაქსონების სიმდიდრის საკმაოდ მაღალი ხარისხით და მაღალი ენდემიზმით. კვლევის საიტებზე საერთო ტაქსონების ბევრად ნაკლებია, ვიდრე თითოეულისთვის დამახასიათებელი, რაც ნიშნავს იმას, რომ თანასაზოგადოებები კლიმაქსურია და ერთმანეთისგან ფლორისტულად კარგად გამიჯნული. თრუსოს საიტზე ნიადაგის არის ნეიტრალური რეაქცია უნდა იყოს მიზეზი უფრო მაღალი სახეობრივი სიმდიდრისა და მცენარეულობის პროექციული დაფარულობისა. აქ იქმნება უფრო ხელსაყრელი საცხოვრებელი პირობები უფრო მეტი სახეობისთვის, ვიდრე მჭავე ან ტუტე არეებისკენ გადახრილი pH-ის პირობებში. მოშორებით მდებარე ელიას საიტი, დანარჩენებთან ამჟღავნებს ნაკლებ ფლორისტულ მსგავსებას, რაც კარგად გამოიხატება როგორც სახეობების, ისე გვარებისა და ოჯახების დონეებზე. ელიას საიტის 50 წ წინანდელ მონაცემებთან შედარებამ გამოავლინა 62%-იანი ფლორისტული მსგავსება, რაც ამ თანასაზოგადოების დროში მდგრადობის ძალიან მაღალ დონეზე მიუთითებს. ფოთლის მორფომეტრული მაჩვენებლებით ელიას საიტი მკვეთრად ემიჯნება დანარჩენ ორს. აქ განსაკუთრებით იმატებს ფოთლის სისქე. მასსა და ქლოროფილის კონცენტრაციას შორის უარყოფითი კორელაციაა. ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ფოთლის სისქე არ იზრდება მესრისებური პარენქიმის ზედმეტი შრის წარმოქმნის ხარჯზე. ყველა მორფომეტრული მაჩვენებელი კარგად გამოხატული და სტატისტიკურად საიმედო ურთიერთკორელაციაშია, რაც შეიძლება მხოლოდ ერთ რამეზე მიუთითებდეს: დომინანტი სახეობა სამივე თანასაზოგადოებაში კარგად განვითარებულია და მას ბუნებრივი გზით რაიმე ნეგატიური ხასიათის ცვლილება არ უნდა ემუქრებოდეს. შეიქმნა მონაცემთა ბაზა, რომელიც მნიშვნელოვნი იქნება კლიმატის გლობალური დათბობის ეკოლოგიური პერსპექტივების გამოვლენის თვალსაზრისით.